# ხელშეკრულება №53

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

გურჯაანი

11 სექტემბერი 2012 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის spa120014801 საფუძველზე

ერთი მხრივ, სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყის საჯარო სკოლა (მისამართი: გურჯაანის მუნიციპალიტეტი სოფელი ჩუმლაყი, ს/კ 227752161), მისი დირექტორის ელენე ტატიაშვილის სახით (შემდგომში წოდებული "შემსყიდველად")

მეორე მხრივ,შპს "ჰესპია-მური" ხელმძღვანელი კარლო კოპალიანი (იურიდიული მისამართი:ქ.თბილისი, თემქა, მე-4 მ/რ,კორ.9ა, ბინა №13,ს/კ 200273989). (შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად")

### 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 "შემსყიდველი" – ორგანიზაცია,რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 "სამუშაო" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩუმლაყის საჯარო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.2 კლასიფიკატორის კატეგორიის/ქვეკატეგორიის კოდი: 45400000, 71600000

2.3 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 94924,60 (ოთხმოცდათოთხმეტიათასცხრაასოცდაოთხი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს;

3.2. შესასრულებელი სამუშაოს ერთეულის ღირებულებები მოცემულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენთაციაში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის;

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. სამუშაოს მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია სოფელი ნუმლაკი.

4.2. სამუშაოს მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 11 ოქტომბრამდე.

## 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით:

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ;

5.2.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით;

ბ). სამუშაოს მიწოდების ვადის დასრულებამდე გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა). ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დათქმულ ვადაში.

5.3.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა). მოსთხოვოს შემსყიდველს სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

## 6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი განახორციელებს თანხის ჩარიცხვას მიმწოდებლის ანგარიშზე მის მიერ ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ფორმა 2-ის წარმოდგენის საფუძველზე.

6.3. საბოლოო ანგარიშსწორება იწარმოებს სამუშაოების დასრულების შემდეგ, მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, ანაზღაურდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება. სახელშეკრულებო ღირებულების 10 %-ს შემსყიდველი აანაზღაურებს სამუშაოზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს სამუშაოს ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღისა.

## 7. ხელშეკრულების ინსპექტირება

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩუმლაყის საჯარო სკოლის დირექტორი ელენე ტატიაშვილი.

## 8. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

## 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით;

9.2. იმ შემთხვევაში,თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) %-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი.

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

10.5. ხელშეკრულების 11.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს:

10.6. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ნაკისრი ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 12. დავების გადაჭრის წესი.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 11 ოქტომბრამდე.

შემსყიდველი:

სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუმლაყის საჯარო სკოლა.

ს/კ - 227752161; სს ლიბერთი ბანკის გურჯაანის ფილიალი, ბ/კ LBRTGE22; ა/ა GE70LB0121192107100000.ელ.ფოსტა elene.tatiashvili@gmail.com;

ტელ: 577944709.

დირექტორი: /ელენე ტატიაშვილი/

მიმწოდებელი:

შპს: "ჰესპია-მური"; მის: ქ.თბილისი, თემქა, მე-4 მ/რ, კორ. 9ა, ბინა N13, ს/კ 200273989; სს "პროკრედიტ ბანკი", აა GE06PC0293600100009678; ბ/კ MIBGGE22;

ელ.ფოსტა: hespiamuri@gmail.com

დირექტორი: /კარლო კობალიანი/

## ჩუმლაყის საჯარო სკოლის შენობის მოწყობის სამუშაოების
## ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

| | სამუშაოს დასახელება | განზ. | სულ | მასალა | | ხელფასი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ.ფასი | სულ | ერთ.ფას | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| | 1.დემონტაჟის სამუშაოები | | | | | | | |
| 1 | თუნუქის სახურავის მოხსნა | კვ.მ | 1017 | 0 | 0 | 0,55 | 559,35 | 559,35 |
| 2 | ჭერიდან სლებავის მოხსნა | კვ.მ | 200 | 0 | 0 | 1 | 200 | 200,00 |
| 3 | ჭერიდან ნალესის მოხსნა | კვ.მ | 60 | 0 | 0 | 1 | 60 | 60,00 |
| 4 | ფანჯრის რაფის დემონტაჟი | გრძ.მ | 154 | 0 | 0 | 1 | 154 | 154,00 |
| 5 | ფანჯრის ბლოკის დემონტაჟი | კვ.მ | 264 | 0 | 0 | 2 | 528 | 528,00 |
| 6 | შენობის გასუფთავება სამშენებლო ნაგვისგან | ტონა | 13,74 | 0 | 0 | 10 | 137,4 | 137,40 |
| 7 | ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმ. ხელით | ტონა | 13,74 | 0 | 0 | 5 | 68,7 | 68,70 |
| 8 | სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება | ტონა | 13,74 | 0 | 0 | 10 | 137,4 | 137,40 |
| | 1 თავის ჯამი | | | | | | | 1844,85 |
| | ზედნადები ხარჯები | | 10% | | | | | 184,49 |
| | ჯამი | | | | | | | 2029,34 |
| | გეგმიური დაგროვება | | 8% | | | | | 162,35 |
| | ჯამი | | | | | | | 2191,68 |
| | 2.სამშენებლო სამუშაოები | | | | | | | |
| | კედლები | | | | | | | |
| 1 | კარ-ფანჯრების ფერდობის გაჯის ხსნარით ლესვა | კვ.მ | 155 | 2,5 | 387,5 | 12,4 | 1922 | 2309,5 |
| 2 | კარ-ფანჯრების ფერდობის შელესვა ცემენტის ხსნარით (გარე) | გრძ.მ | 602 | 3,5 | 2107 | 3,5 | 2107 | 4214 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | კარ-ფანჯრების ფერდობის დამუშავება ფითხით და წყალ-ემულსიის საღებავით შეღებვა | კვ.მ | 155 | 3,5 | 542,5 | 6,25 | 968,75 | 1511,25 |
| 4 | ჭერი დაკედლები | | | | | | | |
| 5 | ჭერისა და კედლების გაჯის ხსნარით შელესვა | კვ.მ | 60 | 2,5 | 150 | 6,25 | 375 | 525 |
| 6 | კედლებისა და ჭერის ფითხით დამუშავება და წყალ-ემულსიური საღებვით ორჯერ შეღებვა | კვ.მ | 673 | 3,5 | 2355,5 | 6,25 | 4206,25 | 6561,75 |
| 7 | კარ-ფანჯრები | | | | | | | |
| 8 | მეტალოპლასმასის ფანჯრის მოწყობა | კვ.მ | 264 | 80 | 21120 | 5 | 1320 | 22440 |
| 9 | მეტალოპლასმასის რაფის მოწყობა | გრძ.მ | 154 | 15 | 2310 | 3 | 462 | 2772 |
| 10 | სახურავი | კვ.მ | | | | | | |
| 11 | ხის ფიცრით მოლარტყვა სისქით 32მმ | კვ.მ | 450 | 17,6 | 7920 | 3,2 | 1440 | 9360 |
| 12 | მოთუთუებელი თუნუქის პროფნასტილით სახურავის მოწყობა | კვ.მ | 1017 | 9 | 9153 | 5 | 5085 | 14238 |
| | 2 თავის ჯამი | | | | 46045,5 | | | 63931,5 |
| | ზედნადები ხარჯები | | 10% | | | | | 6393,15 |
| | ჯამი | | | | | | | 70324,65 |
| | გეგმიური დაგროვება | | 8% | | | | | 5625,972 |
| | ჯამი | | | | | | | 75950,622 |
| | 1+2 თავის ჯამი | | | | | | | 78142,30 |
| | მასალების ტრანსპორტი | | 5% | | | | | 2302,275 |
| | ჯამი | | | | | | | 80444,58 |
| | დღგ | | 18% | | | | | 14480,02 |
| | სულ | | | | | | | 94924,60 |

შემსრულებელი: შპს „ჰესპიამური"-ის

დირექტორი: კ.კოპალიანი